დანართი No. 1.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტი

შეფასების თარიღი

6.02.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

19.02.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 18

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 27

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 31

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი 41

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	247865289
ინსტიტუციის ტიპი	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	აკიმ ალბრეხტი, ვესტფალიის უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი ამირანაშვილი ,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჯავახიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტი ექსპერტი)

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ა(ა)იპ - წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი - სამართალი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Law
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0421 სამართლი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული N274699 (23/03/2021)
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წელს (აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის **13 დეკემბრის N 801 გადაწყვეტილებით).**

2021 წელს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა ხელახალი აკრედიტაცია (N274699 (23/03/2021) რომლის ფარგლებშიც პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაციის სტატუსი, იმის საფუძველზე, რომ სამართლის პროგრამის 5 სტანდარტიდან 3 მეტწილად შესაბამისობაში შეფასდა, ხოლო 2 ნაწილობრივ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, რაც პირობითი აკრედიტაციის საფუძველი გახდა. რეკომენდაციები გაითვალისწინეს და შევიდა ცვლილებები შემდეგი მიმართულებებით: სწავლის შედეგების შეფასება, დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული კომპეტენციები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების სპეციფიკა, ლექციის საათების სემესტრული მოცულობა ინდივიდუალურ სასწავლო კურსებზე საკონტაქტო საათების განაწილების კუთხით, სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მექანიზმის შემუშავება, სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე მიღების წინაპირობა, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართულებით კონკრეტული აქტივობების გაზრდა; აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობის გაზრდა; სამეცნიერო/კვლევითი ან პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ პროექტებში ფინანსური მხარდაჭერა; პერსონალის ინფორმირება საბიბლიოთეკო რესურსებისა და სამეცნიერო ბაზების შესახებ; პერსონალისთვის უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის შექმნის უზრუნველყოფა; პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შეფასების მეთოდი; ფორმის შესაბამისობის დადგენა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედარება უცხოურ პროგრამებთან და სხვა.

პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა სტაბილურია და 8-დან 14-მდე მერყეობს. მართალია ეს ციფრები მაღალი არ არის, თუმცა ეს შეიძლება აიხსნეს უნივერსიტეტის ადგილმდებარეობით. პროგრამას ჰყავს 48 კურსდამთავრებული, აქედან 41 დასაქმებულია კვალიფიკაციის მიხედვით, ხოლო 36-მა განაგრძო სწავლა უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე. თითქმის არ ხდება პერსონალის გადინება, რაც ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობას. პერსონალი, ასევე სტუდენტები და კურსდამთავრებულები ავლენენ ერთგულებას უნივერსიტეტისა და პროგრამის მიმართ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი განხორციელდა ZOOM კონფერენციის მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა 2023 წლის 6 თებერვალს, საქართველოს დროით 10:00 საათზე. ონლაინ ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა, რათა განეხილათ წინასწარი დასკვნები თვითშეფასების ანგარიშის, დანართების, პროგრამისა და სილაბუსების შესწავლის საფუძველზე.

[4]პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

შეხვედრები და დისკუსიები გაიმართა შემდეგ ჯგუფებთან და წარმომადგენლებთან:

- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია
- თვითშეფასების გუნდი
- პროგრამის ხელმძღვანელი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები
- აკადემიური პერსონალი და ხელმძღვანელები
- დამსაქმებლები
- ორმხრივ ონლაინ რეჟიმში განხორციელდა სალექციო დარბაზების, ბიბლიოთეკის, ელექტრონული და საკომუნიკაციო აღჭურვილობის, მათ შორის მონაცემთა ბაზის ტერმინალების და საპრეზენტაციო აღჭურვილობის დათვალიერება.
- სტუდენტები
- კურსდამთავრებულები

უსდ-ს წარმომადგენლებთან დამატებითი შეხვედრის საჭიროება არ ყოფილა. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით მოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ მიაწოდა ჯგუფს. ადგილზე ვიზიტი დასრულდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირველადი მიგნებების პრეზენტაციით. ვიზიტისას ატმოსფერო იყო მეგობრული, კონსტრუქციული და თანამშრომლობითი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს, კერძოდ:

- **სტანდარტი 1** - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა -**მეტწილად შესაბამისობაშია**
- **სტანდარტი 2** - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა -**შესაბამისობაშია**
- **სტანდარტი 3** - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - **შესაბამისობაშია;**
- **სტანდარტი 4** -სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა -**მეტწილად შესაბამისობაშია;**
- **სტანდარტი 5** - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - **მეტწილად შესაბამისობაშია.**

რეკომენდაციები

- გადაიხედოს რამდენად რეალური და მიღწევადია 12 მიზანი ერთი პროგრამის ფარგლებში;
- რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის შემდგომი განვითარება;
- უზრუნველყოფილი იყოს, რომ პროგრამა ითვალისწინებდეს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, რათა გაუმჯობესდეს პროგრამის მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა.

- უსდ-მ იზრუნოს ენობრივი უნარების განვითარებაზე და უცხო ენების სწავლების გაძლიერებაზე;
- განახლდეს სილაბუსში მითითებული ლიტერატურა, რათა პროგრამა ითვალისწინებდეს კვლევის უახლეს მიგნებებსა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.
- პერიოდულად განახლდეს და გაუმჯობესდეს სასწავლო კურსები, მათ შორის ახალი გამოცემებითა და ონლაინ რესურსებით;
- პერიოდულად განახლდეს საბიბლიოთეკო რესურსები;
- გამოინახოს მარტივი და ეფექტური გზები იმისათვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა სამართლებრივ სიახლეებზე;
- საერთო ჯამში, ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის არსებითი ნაწილი მოძველებულია და აუცილებელია მისი განახლება.
- რეკომენდებულია, დაინერგოს დეტალური გეგმა, რომელშიც გაიწერება საჭიროებები, შესაძლო აქტივობები და პასუხისმგებლობები, ასევე დროის განრიგი, დაფინანსების სასურველი ზრდის და ფინანსური აგენტების მოძიების კუთხით, რათა გაძლიერდეს პროგრამის ბიუჯეტი.
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უნდა გაძლიერდეს, დაზუსტდეს, შესაბამისობაში მოვიდეს ინფრასტრუქტურულ და პროგრამულ ადაპტაციასთან და განხორციელდეს.
- იმისათვის, რომ უსდ მიჰყვეს მისთვის სასურველ გზას მეტი ინტერნაციონალიზაციისკენ, უნდა დაინერგოს საერთაშორისო ოფისი, პერსონალისა და სტუდენტებისთვის გამიზნულ ერასმუს პლუსის პროგრამებთან და ზოგადად მობილობის აქტივობებთან კავშირებით. ვებგვერდზე ინფორმაცია არ არის ინგლისურ ენაზე. ეს უნდა შეიცვალოს. საჭიროა ინგლისურენოვანი კურსების აგება იმისათვის, რომ უსდ-მ მოიზიდოს და მოემსახუროს შესაძლო შემომავალ სტუდენტებს.
- მკაფიო გახდეს პერსონალის წახალისებისთვის განკუთვნილი ხარჯების მიზანი და კრიტერიუმები (ბიუჯეტის მიხედვით, 2500 ლარია და ამის საპირისპიროდ მითითებული, პროფესიული და სამეცნიერო განვითარებისთვის განკუთვნილი 2000 ლარი).
- უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა, რათა ის ასახავდეს პერსონალის დატვირთვის ყველა აუცილებელ კომპონენტს, მათ შორის სტუდენტთა კონსულტაციის საათებს და სამეცნიერო-კვლევით დატვირთვას.
- უზრუნველყოფილი იყოს, რომ PDCA-ის სრული ციკლი შესრულდეს და ხარისხის შეფასების შედეგები განხორციელდეს პროგრამის განვითარების მიზნით.
- უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყოველი სემესტრის დასასრულს, სტუდენტებმა შეაფასონ თითოეული სასწავლო კურსი, რათა შემდეგ გაანალიზდეს შეფასების შედეგები და გამოიყენებოდეს სასწავლო კურსების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
- მკაფიოდ განისაზღვროს სააუდიტორიო დაკვირვების პროცედურა და ინსტრუმენტების როლები და მათი გავრცელების სფერო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში; უზრუნველყოფილი იყოს ამის განხორციელება და გამოყენება;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- მიზანშეწონილია მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობა.
- უნივერსიტეტმა მეტი შესაძლებლობები უნდა შესთავაზოს სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.
- პერსონალის დასაქმებისას (აფილირებული ან მოწვეული), შესარჩევმა კომისიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს კანდიდატების ინგლისური ენის ცოდნაზე, რათა ხელი არ შეუშალონ ინტერნაციონალიზავიის სტრატეგიას, რომელიც დიდწილად, ენობრივ უნარებზეა დაშენებული.
- სასურველია, თუკი დაინერგება საერთაშორისო სტანდარტის „Moodle"-ი როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო პლატფორმა სტუდენტებისა და პერსონალისთვის.
- სასურველია, თუკი ყველა სახელმძღვანელო და არამხოლოდ ძირითადი სახელმძღვანელოები იქნება ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში, როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული ფორმით, რაც უზრუნველყოფს უკეთეს კვლევასა და გაგებას.
- კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პროცესი, რათა ამან მოიცავს პროგრამის სტრუქტურა (რამდენადაც ეს შეიძლება ვრცელდებოდეს სამართლის პროგრამაზე), სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სხვა უნივერსიტეტებში არსებული მიდგომები და უზრუნველყოფილი იყოს ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის პროცესში ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები სრულად განხორციელდა და პროგრამის პერსონალი, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ფაკულტეტი გამოხატავენ მზაობას უწყვეტი განვითარებისა და პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

[5]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მკაფიოდ არის წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნები, როგორც ეს პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშშია ასახული. პროგრამას აქვს სამ ძირითად პუნქტად წარმოდგენილი 12 მიზანი, საიდანაც ჩანს ის კომპეტენცია, რომლის გამომუშავებასაც ისახავს პროგრამა მიზნად კურსდამთავრებულში. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, მიზნები თანამშრომლობით იყო დაწერილი; ამ მიზნების მიღწევაზე პასუხისმგებელი უნივერსიტეტია, თუმცა საეჭვოა თუ რამდენად რეალური და მიღწევადია, ერთი პროგრამის ფარგლებში 12 მიზანი, რაც გადახედვას საჭიროებს. პროგრამის პერსონალმა უნდა გადახედოს პროგრამის ამოცანებს და უფრო გასაგებად და კონკრეტულად ჩამოაყალიბოს.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, სწავლის საფეხურსა და საგანმანათლებლო პროგრამას. მიზნებში წარმოდგენილია თუ რა ცოდნისა და უნარების გამომუშავებას ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულში. პროგრამის მიზნებში განსაზღვრული კომპეტენციით კურსდამთავრებულის მომზადება თავისთავად ასახავს იმ წვლილს, რომელსაც პროგრამის კურსდამთავრებული შეიტანს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში (პროგრამის მიზნების მიღწევის შემთხვევაში).

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც აღიარებს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას და განათლებას მთელი ცხოვრების მანძილზე და მაღალი ეროვნულ-მოქალაქეობრივი ცნობიერების მქონე პიროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

პროგრამა ითვალისწინებს პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნებს, კერძო და საჯარო სექტორის ინტერესებს, რეგიონულ დონეზე არსებულ გამოწვევებს და ორიენტირებულია შრომის ბაზარზე კვალიფიციური იურისტის მომზადებაზე, რომელიც აღჭურვილია იმ საბაზისო თეორიული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია იურისტისთვის.

პროგრამის მოდიფიცირებისას, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართულებით, გაიზარდა კონკრეტული აქტივობები. ორმხრივი თანამშრომლობის მიზნით, უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმი ორ უცხოურ უნივერსიტეტთან (ოვიდიუსის უნივერსიტეტთან და

დონის როსტოვის უნივერსიტეტთან). როგორც ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ნაწილია, თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამაზე მიმართულ ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს; ასევე, სასურველია ამ თვალსაზრისით უფრო აქტიურად იმოქმედოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარებაზე, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგების გათვალისწინებით, ერთ-ერთი მნიშნელოვანი გასაუმჯობესებელი მხარეა.

უნივერსიტეტში 2012 წლიდან ხორციელდება სამართლის საბაკალავრო პროგრამა (აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 13 დეკემბრის No801 გადაწყვეტილებით). პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია ის აქტივობები, რომლებიც საფუძვლად დაედო პროგრამის შემდგომ მოდიფიკაციას პირობითი აკრედიტაციის სტატუსის შეძენის შემდეგ (2021 წელს). პროგრამის ამოცანები არის საჯარო და ხელმისაწვდომი (იხილეთ: https://tbeli.ge/>).) წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები მოწმობს, რომ პროგრამის მიზნები ცნობილია მასში ჩართულ პირთათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მისია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემუშავების შესახებ;
- სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით დაგეგმილი საქმიანობა;
- ინტერნაციონალიზაციის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების ამსახველი ოქმი;
- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს რამდენად რეალური და მიღწევადია 12 მიზანი ერთი პროგრამის ფარგლებში;
- უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის შემდგომი განვითარება;

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☑	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია 12 სწავლის შედეგის მიღწევაზე. პროგრამას თან ახლავს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა, რაც ხელს უწყობს იმ ასპექტების შეფასებას, რომლებიც განსაზღვრავს პროგრამის მიზნების და შედეგების შესაბამისობას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა არსებითი მნიშვნელობისაა სწავლის შედეგების პროგრამის ამოცანებთან შესაბამისობის განსასაზღვრად და ის წარმოაჩენს კავშირს პროგრამის ამოცანებსა და სწავლის შედეგებს შორის. გარდა ამისა, თითოეული კურსის კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან ასახულია პროგრამის სასწავლო გეგმის რუკაში. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რაც სტუდენტს ექნება პროგრამის დასრულებისას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვის მექანიზმი, რაც ქმნის შედეგების მიღწევის შეფასების შესაძლებლობის საფუძველს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეექვსე საფეხურს, კვალიფიკაციოს ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ სამართლის დარგობრივ მახასიათებლებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (სამართლის ბაკალავრი).

პროგრამის მიერ მოწოდებული სწავლის შედეგები საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს დასაქმდნენ და გააგრძელონ სწავლა შემდეგ საფეხურზე, რაც დასტურდება როგორც ინტერვიუს შედეგებით, ასევე კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნის ანალიზი, ჩაატარა კურსდამთავრებულთა და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა, რომლის შედეგები აისახა სწავლის შედეგების განსაზღვრაში. წარდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი ატარებს სწავლის შედეგების შეფასებას და უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის პოტენციური დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობას პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შემუშავებაში. პროგრამაში მონაწილე პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

- სწავლის შედეგების შედგენაში მონაწილეთა ოქმი;
- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ დოკუმენტაცია და შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების ინდიკატორების დადგენა;
- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☑	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების თანმიმდევრულობა მოცემულია სასწავლო კურსების თანმიმდევრობით, რომელიც წერია სასწავლო გეგმაში და ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შეესაბამება ამ დარგის სპეციფიკას, შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებზე დაყრდნობით. სწავლის შედეგების მონიტორინგი ხორციელდება, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროცედურა და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები. იგი მოიცავს იდენტიფიკაციას, შეგროვებას და ანალიზს, რაც საჭიროა სწავლის შედეგების გასაზომად. პირდაპირი (ეს მოიცავს წერილობით გამოცდა, ზეპირ გამოკითხვას, ნარკვევებს, ტესტს, პროექტს, პორტფოლიოს, ესსეს, პრეზენტაციას, იმიტირებულ სასამართლო პროცესს, საველე გამოცდილებას ან პრაქტიკის სტუდენტთა შეფასებას ხელმძღვანელის მიერ და ა.შ.) და არაპირდაპირი მეთოდები (ეს მოიცავს დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასებას, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვას და ა.შ.) გამოიყენება სწავლის შედეგების

შეფასებისას, რაც შესაძლებელს ხდის იმის დადგენას, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი აქტიურად რთავს გარე დაინტერესებულ მხარეებს, როგორიცაა კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები სწავლის შედეგების შეფასების პროცესში და მათ აცნობს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. ტარდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და ხდება მათი შედარება სამიზნე ნიშნულებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგები მოწმობს, რომ პროგრამის პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და რომ შიდა რესურსების გამოყენებით ჩატარდა ზოგიერთი ტრენინგი, რათა განევითარებინათ სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და გაანალიზების უნარები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, სხვადასხვა ტიპის კითხვარები იქმნება (ირიბი მეთოდები) და ამით ვლინდება პროგრამის განვითარების საჭიროებები. შეფასების შედეგების ანგარიში, რომელიც მომზადებულია პროგრამის შემუშავების ჯგუფის მიერ, ხელმისაწვდომია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის - განსაკუთრებით ფაკულტეტის საბჭოთვის, რომელიც განიხილავს მას და განსაზღვრავს პროგრამის განვითარების შესაბამის ზომებს, კოლეგიალური გზით. უსდ-მ ჩაატარა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და მოამზადა ანგარიში. არ არსებობს ინფორმაცია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შედეგების განხორციელების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების შეფასების პროცედურა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების ანალიზი;
- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.3 პროგრამის სწავლის	☑	☐	☐	☐

შედეგების შეფასების მექანიზმი

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის და შესაბამისი დოკუმენტების თანახმად, სამართლის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს როგორც სიღრმისეულ თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ცოდნასა და სამართლის სფეროსთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

თითოეული სასწავლო კურსი საკმაოდ ნორმალურად არის ორგანიზებული სემესტრებისა და წლების მიხედვით, პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმის რუკა ამ მხრივ საკმარისად მკაფიოა, რაც ასევე ასახავს პროგრამის მიზნებს.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით, გამოყენებულ იქნა პროგრამის დაგეგმის, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგია. თვითშეფასების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: პროგრამის საჭიროებისა და აქტუალობის კვლევა და სამუშაო ჯგუფის ფორმირება, შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის განვითარება და წარმატებული, იდენტური საერთაშორისო პროგრამების მაგალითების განხორციელება.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლის საფეხურს. პროგრამის შინაარსი და /ან სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას. მინიჭებული კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა იმ კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. პროგრამის კომპონენტებს შორის არსებობს ლოგიკური კავშირი და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

კურსების ორგანიზება განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სწავლის ძირითადი სფეროს შესაბამისი შინაარსის კურსების/საგნების პრინციპებზე, რათა ჩამოაყალიბოს და უხელმძღვანელოს მომავალ, კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც დაიცავენ პროფესიულ ეთიკას და პასუხისმგებლობას. კურსები/საგნები წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კომპონენტების სახით. სავალდებულო კურსები ყურადღებას ამახვილებს სტუდენტებისთვის ფუნდამენტური თეორიული ცოდნისა და იურისტის პრაქტიკული უნარების მიცემაზე. პრაქტიკული კომპონენტი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დროს მოპოვებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის რეალიზებაზე.

პროგრამა ორიენტირებულია ახალ კვლევით მიგნებებზე და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებზე, რაც გამოხატულია იმ ფაქტში, რომ სწავლის შედეგად სტუდენტს უნდა შეეძლოს სამეცნიერო სიახლეების მოძიება, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის წიგნადი ფონდიც და სწავლის ელექტრონული რესურსებიც განახლდა და შეივსო თანამედროვე, უახლესი გამოცემებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო კურსებს. თუმცა, წარმოდგენილი სილაბუსების გაანალიზებიდან გამოვლინდა, რომ სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სწავლა/სწავლების რესურსები, ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეუწილად მოძველებულია და საჭიროებს განახლებას, რათა პროგრამაში უზრუნველყოფილი იყოს ახალი კვლევითი მიგნებები და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები.

ინტერნაციონალიზაციის კუთხით ჩატარებული აქტივობების სახით, არსებობს რამდენიმე გეგმა: ბიბლიოთეკაში უცხოენოვანი სტატიების კატალოგების შევსება ახალი მასალებით, იმ მასალების აღწერა, რომელიც ასახავს უცხოეთის გამოცდილებას კითხვის უნარების განვითარებაში, სამართლის საბაკალავრო პროგრამის განვითარებაზე უცხოური გამოცდილების შესახებ მასალების მოძება და დახარისხება და სილაბუსებისა თუ დარგობრივი საგნების სახელმძღვანელოების თაობაზე ინფორმაციის უზრუნველყოფა უცხო ენაზე.

აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები, ინსტიტუტები, მონაწილეობენ პროგრამის დაგეგმვის, განვითარების, განხორციელების, შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების პროცესში.

ECTS კრედიტების მინიჭება შეესაბამება ამ მხრივ არსებულ სტანდარტებს, გამომდინარეობს კურსის შინაარსისა და საგანმანათლებლო პროცესის წესების შესაბამისად. ბაკალავრის პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს; სამართლის სფეროს შესაბამისად, საგანმანათლებლო კურსებს ეთმობა სულ 185 კრედიტი, რომელთა შორის 150 კრედიტი ეძღვნება სპეციალიზაციის მთავარ საგნებს, 35 კრედიტი სამართლის სფეროს არჩევითი საგნებია.

პროგრამა მოიცავს თავისუფალ კომპონენტს, 10 კრედიტის ფარგლებში. 45 კრედიტი ენიჭება საუნივერსიტეტო კურსებს, მათ შორის უცხო ენას (ინგლისურს), ჯამში 20 კრედიტის მოცულობით.

უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესები;
- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ოქმი;
- ინტერნაციონალიზაციისთვის დაგეგმილი საქმიანობები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- უზრუნველყოფილი იყოს, რომ პროგრამა ითვალისწინებდეს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, რათა გაუმჯობესდეს პროგრამის მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა.
- განახლდეს სილაბუსში მითითებული ლიტერატურა, რათა პროგრამა ითვალისწინებდეს კვლევის უახლეს მიგნებებსა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☑	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა მოიცავს 59 სასწავლო კურსს, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსებს, მათ შორის ინფორმაციას სწავლის დონის გათვალისწინებით, კრედიტების მოცულობის, კურსის მიზნების, სწავლის შედეგების, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების, სწავლების/სწავლის მეთოდების ჩათვლით. სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა უზრუნველყოფს კურსის საფუძვლიან შესწავლასა და პრაქტიკული დავალებების შესრულებას.

კურსების შინაარსი და პროგრამაში კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სასწავლო კურსის განსაზღვრული შედეგების მიღწევას, იგივე სწავლის შედეგები დაგეგმილია სხვადასხვა სასწავლო კურსებში. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მთელი სპექტრი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების ერთობლიობას.

კურსის შედეგებსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირის რუკა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენი სტუდენტი მიიღებს შედეგს. კურსის სილაბუსი შეიცავს ცხრილს, რომელშიც ნაჩვენებია კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევასთან დაკავშირებული თემები.

სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი - საბაკალავრო ნაშრომი არის არჩევითი კვლევითი კომპონენტი, რომელიც უთანაბრდება საგანმანათლებლო პროგრამის სხვა საგანმანათლებლო კურსებს. იგი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, კრიტერიუმები კი შემდეგნაირია: ლოგიკა, არგუმენტაცია და მსჯელობა - 30 ქულა; ნაშრომის არქიტექტურა - 20 ქულა; გადმოცემის უნარი - 15 ქულა; სიახლე -10 ქულა; დისკუსიაში მონაწილეობა (კითხვებზე პასუხის გაცემა) -15 ქულა; საპრეზენტაციო მასალების გამოყენება -10 ქულა.

წარმოდგენილი სილაბუსების ანალიზი ნათელს ხდის, რომ სავალდებულო ლიტერატურა და სილაბუსებში ჩამოთვლილი სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე შეესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია, განთავსებულია ბიბლიოთეკაში, კურსების მიხედვით; წარმოდგენილია როგორც ბეჭდური სახით, ისე ციფრულად და უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის. თუმცა, ზოგიერთ სასწავლო კურსზე (მაგალითად, სამოქალაქო სამართლის შესავალი, კერძო საკუთრების სამართალი, საკონტრაქტო სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, შრომის სამართალი, კორპორაციული სამართალი და ა.შ.), ნაკლებად არის გათვალისწინებული შესაბამის დარგში არსებული უახლესი კვლევები, რომლებიც კონკრეტული აკადემიური კურსისთვის რელევანტურია. გარდა ამისა, მასალებისა და ტექნიკური ბაზის, მათ შორის ბიბლიოთეკის, სწავლის მართვის სისტემის დათვალიერებისას, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას გამოვლინდა, რომ ბიბლიოთეკის მატერიალური ბაზა საჭიროებს განახლებას როგორც ადგილობრივი, ისე უცხოენოვანი ლიტერატურის თვალსაზრისით. საბიბლიოთეკო მასალების განახლების საჭიროება რეკომენდებულია მეოთხე სტანდარტში და განხილულია 1.4. ქვესტანდარტში, დარგში მიმდინარე სიახლეების ასახვასთან მიმართებით. გარდა ამისა, სამართლებრივ მონაცემთა ბაზებზე წვდომა უზრუნველყოფილია ლექტორებისთვის, თუმცა ეს შესაძლებლობა გარკვეულწილად შეზღუდულია სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პერიოდულად განახლდეს და გაუმჯობესდეს სასწავლო კურსები, მათ შორის ახალი გამოცემებითა და ონლაინ რესურსებით;
- გამოინახოს მარტივი და ეფექტური გზები იმისათვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა სამართლებრივ სიახლეებზე;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	☑	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად. სამართლის პროგრამის თანახმად, პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საჭიროა ეს დოკუმენტები/საგნები:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ცნობა საქართველოს მოქალაქეებისთვის და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, ითვალისწინებს საგნებს, პრიორიტეტებს და მათ შესაბამის კოეფიციენტებს, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ არის დადგენილი. კანონის შესაბამისად, ჩამოთვლილი საგნები განისაზღვრება როგორც სავალდებულო საგნები სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული), ისტორია ან მათემატიკა ან სამოქალაქო განათლება.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეების არმქონე პირები, სარგებლობენ უფლებით, ერთიანი ეროვნული გამცოდების ჩაბარების გარაშე ისწავლონ პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ასევე, პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შესაძლებელია მობილობის გზით - სახელმწიფოს მიერ დაგენილი წესებისა და უნივერსიტეტის შინაგანწესის შესაბამისად.
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებენ პროგრამის მახასიათებლებს და უზრუნველყოფენ სტუდენტების მიღებას პროგრამის ათვისებისთვის შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით; გარდა ამისა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ლოგიკურ კავშირშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, განათლების საფეხურთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ასევე სწავლების ენასთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე [https://www.sou.edu.ge/images/file/1675702797--2023_sabakalavro_samarTali_saiti.pdf].

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვებგვერდი [https://www.sou.edu.ge/images/file/1675702797--2023_sabakalavro_samarTali_saiti.pdf];
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**

2.1. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**	☑	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამას აქვს ქვემოთ ჩამოთვლილი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება - სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

1. აღწერს:

სამართლის არსს, მნიშვნელობას, ნიშნებს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლის რეგულირების სფეროს, სამართლებრივ ურთიერთობების სახეებს, დარგებს და მასში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობებს, სამართლის ნორმას, მის სახეებს და ნორმის შეფარდების სტადიებს, სამართლის ნორმის ახსნა-განმატრების მეთოდებს. სამართლის სისტემას საქართველოში, მის ინსტიტუტებს და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განვითარების ეტაპებს. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის: წყაროებს, პრინციპებს, დარგებს და ინსტიტუტებს. რომის სამართლის საფუძვლებს, მის წყაროებს და ინსტიტუტებს, რომის სამართლის განვითარების ეტაპებს და მის მნიშვნელობას მსოფლიში სამართალგანვითარების პროცესზე. სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს, ეროვნული მოდელის თავისებურებებს და არსებულ პრობლემებს, ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, სისტემას, შეზღუდვის პრინციპებს, დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების თავისებურებებს. კონსტიტუციური დაცვის მექანიზმების ჩათვლით, ადმინინისტრაციული სამართლის არსს, პრინციპებს, წყაროებს, საჯარო მმართველობის საფუძვლებს და არსს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ადმინისტრაციული დავების წარმოშობის ფაქტობრივ გარემოებებს და სათანადო ნორმების საფუძველზე მათი გადაწყვეტის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების სტადიებს და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს, საკონსტიტუციო დავების წარმომშობ გარემოებებს და სამართლებრივად მათი გადაწყვეტის საშუალებებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს და მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობას, საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპებს, წყაროებს, ინსტიტუტებს, სახელმწიფოთაშორის ვალდებულებების გათვალისწინებით, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშირისო და რეგიონულ სისტემებს, საერთაშორისო სამართლის ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაციას, საერთაშორისო და ეროვნული

სამართლის თანაფარდობას, გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებში და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმისწარმოების თავისებურებებს. კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის არსს, წყაროებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის რეგულირების სფეროს და თავისებურებებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების არსს და საფუძვლებს, საოჯახო-მემკვიდრეობითი სამართლის რეგულირების სფეროს, შრომის სამართლის რეგულაციებს და შრომის უფლებების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, საკორპორაციო სამართლით დაცულ სფეროს, პრინციპებს და სამეწარმეო უფლებების დაცვის მექანიზმებს, საავტორო სამართლით რეგულირებულ უფლებებს, მათ მნიშვნელობას და დაცვის მექანიზმებს, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში, დავის წარმოშობის ფაქტობრივ გარემოებებს და სათანადო ნორმების საფუძველზე მათ გადაწყვეტას, სამოქალაქო სამართალწარმოების სტადიებს და სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, სისხლის სამართლის არსს, პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლებს, სასჯელის სისტემას, სისხლისსამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს და სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს;

უნარები - სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

2. ამოიცნობს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართალის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, არსებული ან უახლესი მეთოდების გამოყენებით, მსჯელობს პრობლემის გადაწყვეტის შესაბამისი გზების შესახებ ზეპირი და წერითი ფორმით, შეიმუშავებს დასკვნებს, გადმოსცემს და ასაბუთებს იურიდიული ტერმინოლოგიის დაცვით.

3. აანალიზებს სამართლის წყაროებს, ნორმებს, მეთოდებს, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციის დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედების განხორციელების ან სხვა დასახული იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით.

4. შეიმუშავებს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართალის სფეროში სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, საპროცესო დოკუმენტების პროექტებს, ასევე სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებს, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებების და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით დავის გადაწყვეტის სტრტეგიებსა და ტაქტიკას.

5. შეიმუშავებს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართალის სფეროში წინასწარ განსაზღრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომია - სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

6. მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებს, სამართლებრივი საინფორმაციო ბაზების მეშვეობით ქართულ და უცხო ენაზე, ავლენს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრინციპის დაცვით, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს.

7. ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს პროფესიული ქცევის ნორმების, ადამიანის უფლებების პატივისცემის ფარგლებში, მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულების გათვალისწინებით.

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს თეორიულ კურსებთან ერთად და ზოგიერთ პრაქტიკულ კურსს, მათ შორის: საჯარო სამართლის პრაქტიკულ კურსს, სამოქალაქო სამართლის პრაქტიკულ კურსს, სისხლის სამართლის პრაქტიკულ კურსს. ისინი ძირითადად მერვე სემესტრშია დაგეგმილი. პრაქტიკული კომპონენტი პროგრამაში 9 კრედიტის მოცულობით არის წარმოდგენილი. პრაქტიკული კომპონენტი პროგრამაში ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესატყვისება იურიდიული განათლების საბაკალავრო დონეს. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კურსები და სამართლებრივი ეთიკა სტუდენტს ეხმარება შემდეგში:

- გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში;
- უკეთ მოემზადოს სამომავლო პროფესიული საქმიანობისთვის, პრაქტიკული უნარების განვითარების გზით;
- სამართლის სხვადასხვა დარგში გამოავლინოს მთავარი პრობლემები და გადაჭრას ისინი, კომპეტენციის ფარგლებში;
- გამოიმუშავოს გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო უნარები და შესაძლებლობები;
- მოიპოვოს ცოდნა და უნარები, რომლებიც რეალურ გარემოს ეხება;
- გაუძლიეროს სტუდენტს ის ცოდნა, რომელიც მიიღო თეორიული სწავლების, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე.

პრაქტიკულ დამსაქმებლებთან დაახლოებით 19 შეთანხმება/მემორანდუმია გაფორმებული, რომლებიც ითვალისწინებს პრაქტიკის მიზნებსა და ხანგრძლივობას და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა ეს მემორანდუმები არ ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას. მიზანშეწონილია მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობა.

გარკვეული ინფორმაციაა წარმოდგენილი სტუდენტთა კონფერენციებთან, სამეცნიერო კვლევით პროექტებთან და განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით. სამეცნიერო-პრაქტიკული სტუდენტური კონფერენციები ეწყობა ფაკულტეტის მიერ, სადაც ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი. უნივერსიტეტი მუდმივად ასპონსორებს ყოველწლიურ სამეცნიერო კვლევით კონფერენციებს სტუდენტებისთვის. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც ორგანიზებას უწევს ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას, რეკრეაციულ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. სამეცნიერო კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის საერთო რაოდენობა შეადგენს -50-ს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;

- სილაბუსები: პრაქტიკული კურსი საჯარო სამართალში; პრაქტიკული კურსი სამოქალაქო სამართალში; პრაქტიკული კურსი სისხლის სამართალში; სამართლებრივი ეთიკა;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემები;
- მემორანდუმები პრაქტიკის მომწოდებელ ორგანიზაციებთან;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობა.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☑	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შეიცავს სწავლების და სწავლის მეთოდებს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიერ მოწოდებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს მიზნების მისაღწევად საჭირო მეთოდებს, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის პრინციპებზე დაყრდნობით, აღნიშნული მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის განათლების დონეს, სპეციფიკური მიზნების და შინაარსის დონეს და კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსს. სწავლებისა და სწავლის მეთოდები ორიენტირებულია ცოდნის მოპოვებასა და უნარების განვითარებაზე. სწავლა-სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას, გათვალისწინებულია კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები - თუ რა უნდა იცოდეს და შეეძლოს სტუდენტს. სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება შემდგომი:

- ლექციები:
- სემინარი;
- ჯგუფური მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობა;
- ელექტრონული სწავლა.
- ელექტრონული რესურსებით სწავლება და სხვა.

სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებს და გადაკვეთს; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია გამოიყენოს ერთი ან მეტი ხსენებული აქტივობა ან ნებისმიერი სხვა აქტივობა, კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით.

სწავლა-სწავლების მიზნით გამოყენებული მეთოდებია:

- განხილვა/დებატი;
- თანამშრომლობითი სწავლა;
- თანამშრომლობითი მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა;
- შემთხვევის ანალიზი;
- ბრეინშტორმინგი;
- დემონსტრირება;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი;
- სიტყვიერი ახსნა;
- წერილობითი სამუშაო;
- წიგნებზე მუშაობა;
- დამოუკიდებელი სწავლა;
- IBD;
- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;
- პრაქტიკული მეთოდები;
- როლური თამაშები და სიმულაციები.

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. თითოეული აკადემიური კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს, სამართლის დარგობრივ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ურთიერთქმედებას როგორც სტუდენტებს, ისე პერსონალსა და თავად სტუდენტებს შორის, უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობას სასწავლო პროცესში შესაბამისი ავტონომიითა და პასუხისმგებლობით და მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების განვითარებას, კრიტიკული და ანალიტიკური უნარების ჩათვლით. თითოეულ კურსს აქვს თავისი სწავლა-სწავლების მეთოდი, რომლებიც არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;

- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☑	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასება წარმოებს დადგენილი პროცედურების შესაბამისად; იგი სამართლიანია ყველა სტუდენტისათვის, გამჭვირვალეა, სანდო და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტის სწავლის შედეგები ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის მიხედვით. შუალედური და დასკვნითი შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარების ან/და კომპეტენციების შეფასების მეთოდებს: წერითი გამოცდა, წერილობითი და ზეპირი კითხვები, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო, შეფასების კომპონენტი აერთიანებს ერთგვაროვან მეთოდებს: ტესტი, ქვიზი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, კითხვა-პასუხი, პრაქტიკული დავალების შესრულება, კაზუსის ამოხსნა, მონაწილეობა დისკუსიაში-დებატებში, იმიტირებულ სასამართლოში მონაწილეობა, რეფერატი, აქტივობა პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას და სხვა. შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ან შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რომელიც განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევის დონეს.

სტუდენტის ცოდნა და უნარები ფასდება 0-100 ქულიანი შეფასების სისტემით. ის მრავალკომპონენტიანია და შედგება შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება/გამოცდისგან, რომელიც აჯამებს საბოლოო შეფასებას. თითოეული შეფასების ფორმისა და კომპონენტისთვის, შეფასების საერთო ქულებიდან 60 ქულა (100 ქულა) განკუთვნილია შუალედური შეფასებისთვის, ხოლო 40 ქულა დასკვნითი შეფასებისთვის;

შეფასების თითოეულ ფორმაში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე. შუალედური შეფასების აუცილებელი კომპონენტია წერილობითი შეფასება, რომელიც განისაზღვრება 0-30 ქულის მქონე წერილობითი კომპონენტით. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 11 ქულა. დასკვნითი შეფასების/გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 20 ქულა.

შეფასების სისტემა მოიცავს შემდეგს:

ა) დადებითი სახის ხუთ შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა

ა.ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

a) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX)- ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსები აღწერს კონკრეტული შეფასების ფორმებსა და მეთოდებს, განსაზღვრავს უშუალოდ ლექტორის მიერ განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარს კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დასკვნითი შეფასების ქულა არ ემატება სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას. დამატებითი გამოცდის დროს მიღებული შეფასება საბოლოოა და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი საგანმანათლებლო კომპონენტში დამატებითი საგამოცდო შეფასების ჩათვლით მთლიანად დააგროვებს 0-50 ქულას, მას ეძლევა შეფასება „F-0“. ეს შინაარსი მოცემულია როგორც სამართლის საბაკალავრო პროგრამაში, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, № 05/01-172, 5.08.2014, მუხლები 18-19.

თითოეული აკადემიური კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და წარმოადგენს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების საშუალებას. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილი სტუდენტისთვის.

უზრუნველყოფილია სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. ეს განსაზღვრულია უმაღლესი სასწავლებლის ოფიციალურ დოკუმენტში, სახელწოდებით გამოცდების ჩატარების წესი, მე-6 მუხლი. სტუდენტების შეფასების აპელაციის პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია. გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, სტუდენტებმა კარგად

იციან გასაჩივრების პროცესი და პროცედურები. გასაჩივრების პროცესი მოიცავს შეფასების შედეგების განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას სხვა შემფასებელი/სააპელაციო კომისიის მიერ. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტებს ასევე იღებენ უკუკავშირს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, №05/01-172, 5.08.2014;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- –

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4. სტუდენტის შეფასება	☑	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მოპოვებული სხვა დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე, დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ შესაბამის მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარებისთვის პროგრამაში ჩართული პირებისგან და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულებისგან.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სტუდენტებმა კარგად იციან კურიკულუმის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

სტუდენტი სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კურსთან დაკავშირებულ ინფორმაციას თავად ლექტორებისგან იღებს. პირველივე შეხვედრაზე სტუდენტი იღებს სრულ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ. სილაბუსში მითითებულია, რომ პირველი კვირა ეთმობა საგნის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობას. ეს გულისხმობს: რა ისწავლება, რა აქტივობები განხორციელდება, როგორ შეფასდება და რას მიაღწევს სტუდენტი. სილაბუსში გაწერილია საკონულტაციო საათები; დამატებით, მომზადებულია საკონსულტაციო განრიგი, სადაც მითითებულია კონკრეტულ ლექტორთან კონსულტაციისთვის გამოყოფილი საათი და ტელეფონის ნომერი. არსებობს შესაძლებლობა დაიგეგმოს ლექტორთან კონსულტაცია სტუდენტისთვის მოსახერხებელ დროს და მისაღები ფორმით, მათ შორის დისტანციური ელექტრონული კავშირით.

სტუდენტი იღებს ინფორმაციას დასაქმების შესახებ და ეცნობა დასაქმების არსებულ წესებს. კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერა განისაზღვრება კონსულტაციების, ადგილზე დახმარებისა და სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის სახით.

უსდ-ში ფუნქციონირებს სტუდენტების მხარდაჭერის სამსახური. აღნიშნული სამსახურის ფუნქციები შემდეგია: სტუდენტების მხარდაჭერა დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენაში, დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა და სტუდენტების დახმარება კარიერის სწორად წარმართვაში. სტუდენტები სტაჟირებისა და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას იღებენ სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურისგან. ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია სოციალური ქსელის - ფეისბუქის საშუალებით მიეწოდება, ასევე, ინფორმაციის გაზიარება ხდება პირადად აუდიტორიებში და სხვადასხვა საშუალებებით. აქტივობები ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. უსდ-მ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსთან გააფორმა მემორანდუმი, რომლის მეშვეობითაც იღებს ინფორმაციას ვაკანსიებისა

და სტაჟირების შესახებ რეგიონის მასშტაბით და ამ ინფორმაციას უზიარებს სტუდენტებს. სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, უსდ-მ ხელი მოაწერა მემორანდუმებს ხელვაჩაურის საკრებულოსთან, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტთან, ხელვაჩაურის მერიასთან, შუახევის მერიასთან, შუახევის რესურსცენტრთან, შუახევის საკრებულოსთან და სხვა. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს კლინიკა, ამ ეტაპზე სტუდენტებისთვის მზადდება კორპორატიული ელფოსტა (უკვე მომზადდა ლექტორებისთვის), რომლის საშუალებითაც სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ვაკანსიების/სტაჟირების ხელმისაწვდომობისა და სხვადასხვა აქტივობების შესახებ.

სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კვლევებში. უსდ-მ ორგანიზებული აქვს რამდენიმე იმიტირებული პროცესი, ერთი საინფორმაციო შეხვედრა ხელვაჩაურის რაიონულ პროკურორთან და ერთი კონფერენცია (2020 წლის 25 იანვარს, ლექტორების, მასწავლებლებისა და სტუდენტების ერთობლივი კონფერენცია). უნივერსიტეტში შემუშავდა თვითმმართველობის დებულება და ეთიკის კოდექსი.
უსდ-მ ხელი მოაწერა მემორანდუმს კონსტანტას ოვიდიუსის უნივერსიტეტთან (რუმინეთი) და დონის როსტოვის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტთან. პანდემიის გამო მხარეებს შორის ურთიერთობა შეზღუდული იყო, თუმცა ერთობლივი კონფერენცია დისტანციურად ჩატარდა. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის გაუმჯობესების სფეროს, უსდ გეგმავს გარკვეული სახის ღონისძიებების განხორციელებას სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში ჩართვისა და მობილობის მიზნით, იგეგმება რამდენიმე საერთაშორისო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა. ამიტომ, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა აქტიურად იმუშაოს, რათა პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში (მაგ., Erasmus+) მონაწილეობისთვის.

უნივერსიტეტში სტუდენტების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მიზნით ეწყობა სხვადასხვა შემეცნებითი, სპორტული და კულტურული აქტივობები. სასწავლო პროცესი სრულიად უფასოა ყველა საფეხურისთვის, სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან კვებით, ხოლო უცხოელი სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებლითა და სტიპენდიით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლის ფაკულტეტის დებულება;
- გასაუბრება თვითშეფასების გუნდთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- გასაუბრება პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან და სტაჟირების პროვაიდერებთან;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ;
- მემორანდუმი სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსთან“;
- სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულება;

- სოციალურად დაუცველი სტუდენტების, მათ შორის უცხოელი სტუდენტების დამხმარე ინსტრუმენტებისა და შედეგების აღწერა;
- უსდ-ს აქტიური სტუდენტების ინიციატივები, პროექტის პრეზენტაცია და უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცედურა;
- სტუდენტური თვითმმართველობის ეთიკის კოდექსი;
- სტუდენტური თვითმმართველობის დებულება;
- უსდ-ს ეთიკის კოდექსი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - https://tbeli.ge/.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უნივერსიტეტმა მეტი შესაძლებლობა უნდა შესთავაზოს სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.1. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	☑	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ არის მითითებული

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	
სამაგისტრო/სადოქტორო სტუდენტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- -

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული

პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობები ქმნის პერსონალი-სტუდენტის თანაფარდობას 1: 2.4 რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. სტუდენტთა ნაკადები მცირეა, თუმცა სტაბილური, რაც ქმნის ინტენსიურ სასწავლო გარემოს და სტუდენტი-პერსონალის უშუალო კავშირს. სტუდენტებისა და პერსონალის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ძალიან კარგ პირობებში ხორციელდება. კურსდამთავრებულებმა განაცხადეს, რომ პროგრამამ მათ მიაწოდა ყველა შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შრომის ბაზრისთვის. სტუდენტების უმეტესობა რეგიონიდანაა და ამავე რეგიონშია დასაქმებული. ისინი აღწერენ გარემოს, როგორც მშვიდობიან, არადისკრიმინაციულ, რომელიც სუფთა აკადემიური ცოდნის გარდა მათ აწვდის მორალურ ღირებულებებს.

როგორც მოწვეული, ასევე აკადემიური აფილირებული პერსონალი ფლობს სამართლის ბაკალავრის ხარისხს. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი დაქირავებულია გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული სტანდარტების შესაბამისად, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის დებულებების გათვალისწინებით. კომპეტენციები და უნარ-ჩვევები შერჩევის დროს მოწმდება ინტერვიუს მეთოდით. ფასდება ცოდნა და გამოცდილება, ასევე სხვა ძირითადი კომპეტენციები (მოტივაცია, შემოქმედებითი აზროვნება და ა.შ.).

აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება შიდა კონკურსით. უნივერსიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ნიჭიერ პირებში პროფესიულ ზრდას. შესაძლო კანდიდატების იდენტიფიცირების შემდეგ, მათი კანდიდატურა წარედგინება რექტორს, რომელიც განიხილავს წინადადებებს შესაბამისი დარგების ხელმძღვანელებთან შეფასების პროცედურების დასაწყებად. შეფასება ფოკუსირებულია პროფესიულ და სამეცნიერო საქმიანობაზე. „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ ითვალისწინებს სამუშაოს აღწერილობის კრიტერიუმებს და ფუნქცია-მოვალეობებს.

პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს კომპეტენციას და გამოცდილებას პროგრამის განსახორციელებლად და სამართავად. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება კანონმდებლობისა და უსდ-ის შინაგანაწესის მოთხოვნებს. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია ფასდება ბოლო 5 წლის განმავლობაში მათი საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობის მიხედვით. მოწვეული პერსონალი შეირჩევა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების უნარის მიხედვით. მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია თქვას, რომ პროგრამისა და უნივერსიტეტის მიმართ არსებობს მნიშვნელოვანი ლოიალურობა. პერსონალის გადინების მაჩვენებელი დაბალია, რაც უზრუნველყოფს მდგრადობას.

ამრიგად, პროგრამის განხორციელებას სათანადო რაოდენობით უჭერენ მხარს საჭირო კომპეტენციების მქონე პირები, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩართულნი არიან პროგრამაში მათი ფუნქციების, მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად.

ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია პროგრამისა და მისი შინაარსის შემუშავებასა და შეცვლაში, პროგრამის ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამუშაო დატვირთვის სქემა პროგრამის პერსონალისთვის, რომელიც მოცემულია თვითშეფასების ანგარიშის დანართებში. დატვირთვის სქემა არ აჩვენებს სხვა დაწესებულებებში პერსონალის დატვირთვას და არ არის განსაზღვრული სტუდენტებთან კონსულტაციების საათები, ასევე პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა. ინტერვიუები სტუდენტებთან და პერსონალთან ცხადყოფს, რომ კონსულტაციები სტუდენტებთან ტარდება. ვინაიდან აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, დატვირთვის სქემა უნდა მოიცავდეს აღნიშნულ კომპონენტებს, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დახვეწოს შემუშავებული დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სტანდარტით მოთხოვნილ ყველა კომპონენტს.

სტუდენტებს დახმარებას უწევს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი მათი ფუნქციებისა და მოვალეობების შესაბამისად. სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა კმაყოფილების ძალიან კარგი მაჩვენებელი, როდესაც საქმე ეხება ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან დახმარებას. ეს შედეგი ასევე დადასტურდა ჯგუფის მიერ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხილვისას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**14**	**9**		**8**
- პროფესორი	9	5	1	
- ასოცირებული პროფესორი	2	0	0	
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	3	3	0	
მოწვეული პერსონალი	10	6	1	_
სამეცნიერო პერსონალი				_

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი „თანაფარდობის სქემა და ანალიზი“;
- დანართი „პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია“;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- პირადი საქმეები და რეზიუმეები;
- ინფორმაცია პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ;
- აკადემიური პოზიციებისათვის კონკურსის მასალები;
- პერსონალის მართვის სამსახურის ინფორმაცია პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ და პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- პერსონალის გამოკითხვა;
- უსდ-ს აკადემიური პერსონალის შეფასების წესი.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა, რათა ის ასახავდეს პერსონალის დატვირთვის ყველა აუცილებელ კომპონენტს, მათ შორის სტუდენტთა კონსულტაციის საათებს და სამეცნიერო-კვლევით დატვირთვას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.1. ადამიანური რესურსები	☐	☑	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ არის მითითებული

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- –

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- –

შეფასება

არ არის მითითებული

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების

ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-მ შეიმშავა და რეგულარულად უტარებს მონიტორინგს პერსონალის განვითარების გეგმას, აფასებს პერსონალის აქტივობებს, როგორიცაა სამეცნიერო კვლევითი აქტივობები და შესაბამისი პუბლიკაციები, და შეიმშავებს ზუსტ დოკუმენტს პეროსნალის სამეცნიერო და კვლევით და პროფესიულ აქტივობაზე. პერსონალს მიეწოდება უკუკავშირი მათი აქტივობის შეფასების ძირითადი მიგნებების შესახებ. აქტივობების მიმოხილვისა და ანალიზის შედეგად, რომელიც ასევე მოიცავს რეზიუმეებსაც, პერსონალმა გაზარდა მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, აქვეყნებს ნაშრომებს და მონაწილეობს პრაქტიკულ პროექტებში.

პანდემიის პერიოდმა შეაფერხა მათი აქტიურობა, თუმცა ისევ კვლევ აქტიურდებიან. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დისკუსიის შედეგად გამოვლინდა, რომ მათ იციან დაწესებულებაში არსებული კარიერული განვითარების მექანიზმების არსებობის შესახებ, ასევე სამეცნიერო კვლევით აქტივობებში და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა არის წახალისებული და შეფასებული გამჭვირვალედ უნივერსიტეტის მხრიდან. ზოგიერთმა პერსონალმა გამოიყენა კარიერული განვითარების შესაძლებლობა და მიიღო ფინანსური მხარდაჭერა. თუმცა გონივრულად ვერ ხდება ერთმანეთისგან ბიუჯეტში პერსონალის წახალისებისთვის გამოყოფილი 2500 ლარის ოდენობის ხარჯის და პროფესიული და სამეცნიერო განვითარებისთვის გამოყოფილი 2000 ლარის ოდენობის ხარჯის მიზნისა და კრიტერიუმების გამიჯვნა.

ძირითადად, პერსონალმა დააფიქსირა კმაყოფილება სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურით, რომელიც უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მხრიდან. საერთაშორისო აქტივობების, პერსონალის მობილობის, ენის ტრენინგისა და ერაზმუს + ის ცენტრალური საერთაშორისო ოფისის მიერ ტემპუსის პროექტებში და მობილობის შესაძლებლობებში, ასევე, საერთაშორისო საზაფხულო სკოლებში მონაწილეობის შესახებ პერსონალს არ სმენია და ინსტიტუციური შემოთავაზებაც არ ჰქონიათ. ყველა თანხმდება, რომ ინგლისური ენის კურსები შეთავაზებული იქნა პერსონალისთვის უფასოდ, თუმცა პერსონალიდან არავინ დაესწრო დროის უქონლობის გამო. თუმცა, ვინაიდან უსდ-ს მიზანია უნივერსიტეტის და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონის გაზრდა, პერსონალში ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდის მცდელობებიც გაგრძელდება. ამის გარდა, ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან ურთიერთობა შეფასდა როგორც ძალიან კარგი.

ორი მიმდინარე საერთაშორისო თანამშრომლობა ოვიდიუსის უნივერსიტეტთან (რუმინეთი) და როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (Rostov- on-Don State Technical University) პანდემიის პერიოდში ძალიან შენელდა, ძირითადად ერთი დისტანციური კონფერენცია ჩატარდა. აღინიშნა, რომ უსდ გეგმავს საერთაშორისო კონფერენციებს და მობილობებს, ასევე თანამშრომლობას რამდენიმე საერთაშორისო პარნტიორთან, თუმცა არ გვთავაზობს კონკრეტულ გეგმას, თანამშრომლობის სპეფიციკას და გაწერილ დროით გეგმას.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგები და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობები დისტანციური/ონლაინ სწავლების განხორციელების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- საერთაშორისო თანამშრომლობა და უსდ-ს ინსტირუციონალიზაციის მექანიზმები;
- უსდ-ს პერსონალის შეფასების წესი;
- ტრენინგი - სწავლა/სწავლების კვლევის მეთოდები და ტრენინგი ონლაინ სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- დანართი "პერსონალის სეფასების ანალიზი და შედეგები".

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უნდა გაძლიერდეს, დაზუსტდეს, შესაბამისობაში მოვიდეს ინფრასტრუქტურულ და პროგრამულ ადაპტაციასთან და განხორციელდეს.

- იმისათვის, რომ უსდ მიჰყვეს მისთვის სასურველ გზას მეტი ინტერნაციონალიზაციისკენ, უნდა დაინერგოს საერთაშორისო ოფისი, პერსონალისა და სტუდენტებისთვის გამიზნულ ერასმუს პლუსის პროგრამებთან და ზოგადად მობილობის აქტივობებთან კავშირებით. ვებგვერდზე ინფორმაცია არ არის ინგლისურ ენაზე. ეს უნდა შეიცვალოს. საჭიროა ინგლისურენოვანი კურსების აგება იმისათვის, რომ უსდ-მ მოიზიდოს და მოემსახუროს შესაძლო შემომავალ სტუდენტებს.

- უსდ-მ განაგრძოს ძალისხმევა ენობრივი უნარების განვითარებისა და უცხო ენების სწავლების გაძლიერების მიმართულებით.

- მკაფიო გახდეს პერსონალის წახალისებისთვის განკუთვნილი ხარჯების მიზანი და კრიტერიუმები (ბიუჯეტის მიხედვით, 2500 ლარია და ამის საპირისპიროდ მითითებული, პროფესიული და სამეცნიერო განვითარებისთვის განკუთვნილი 2000 ლარი).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პერსონალის დასაქმებისას (აფილირებული ან მოწვეული), შესარჩევმა კომისიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს კანდიდატების ინგლისური ენის ცოდნაზე, რათა ხელი არ შეუშალონ ინტერნაციონალიზავიის სტრატეგიას, რომელიც დიდწილად, ენობრივ უნარებზეა დაშენებული.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☐	☑	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ აქვს შენობა, სადაც ხორციელდება საგანამანათლებლო პროცესი. სასწავლო და ადმინისტრაციული შენობა არის აღჭურვილი და ფუნქციური. ლექციების დარბაზები, კომპიუტერი და კვლევითი სფეროები, ბიბლიოთეკა სახელმძღვანელოებითა და მონაცემთა ელ. ბაზები შესაძლებელს ხდის სასწავლო და კვლევითი პროცესი განხორციელდეს დამაკმაყოფილებლად. თუმცა, წიგნები, ელ. ლიტერატურა და ბაზები უნდა განახლდეს. ძირითადი პუბლიკაცია "საერთაშორისო საჯარო სამართალი" (საჭირო კურსისთვის "საერთაშორისო საჯარო სამართალი“) იძებნება ელ. ბიბლიოთეკაში, თუმცა მატერიალურად არსებული გამოცემა არის ძალიან ძველი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალსა და აკრედიტაციის გუნდს შორის რესურსებთან დაკავშირებული დისკუსიის დროს გამოვლინდა საბიბლიოთეკო რესურსების განახლების აუცილებლობა. არსებული წიგნადი ფონდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამ მიზნით. ბიბლიოთეკა ნაკლებად გვთავაზობს სამეცნიერო პუბლიკაციებს, სატრენინგო მასალებს სამართლის მიმართულებით.

გარდა შესაბამისი სახელმძღვანელოებისა, რომლებიც მითითებულია სილაბუსებში, სამეცნიერო ბაზებისა, რომლებსაც იყენებენ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პრეზენტაციისთვის ტექნიკურ მხარდაჭერას (პროგრამულს, პროექტორს და ა.შ.) და მოწყობილობას იმიტირებული სასამართლოს ჩასატარებლად, როგორც სილაბუსების პრაქტიკული კომპონენტის ნაწილს. ყველაფერი, მატერიალური და ტექნიკური, უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების და სტუდენტთა კვლევების შესაბამისად განხორციელებას და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის. ინტერვიუს შედეგებზე დაფუძნებით, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების შესახებ და იციან როგორ გამოიყენონ ისინი.

სტუდენტები იყენებენ ტელეფონს, ელ. ფოსტას და ელ. ჟურნალს, პერსონალთან, ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის მიზნით. სასურველია, Moodle-ის დანერგვა, რაც გახდის კურსთან დაკავშირებულ კომუნიკაციას უფრო მარტივს და ეფექტურს. დისტანციური სწავლების განმავლობაში უსდ-ში გამოიყენებოდა ზუმის პლატფორმა. ადმინისტრაცია მხარს უჭერდა სტუდენტებს და პერსონალს ციფრული სასწავლო მასალების უზრუნველყოფით.

საერთო ჯამში, სწავლის შესაბამისი შედეგების მიღწევა შესაძლებელია შემოთავაზებული ინფრასტრუქტურის სარგებლობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები;
- ონლაინ დაგვირვება ინფრასტრუქტურაზე;
- ინტერვიუს შედეგები;
- ბიბლიოთეკის ბაზებთან შეთანხმება.

რეკომენდაციები:

- საერთო ჯამში, ბიბლიოთეკის ლიტერატურა არსებითია, მაგრამ ლიტერატურის ნაწილი მოძველებულია და უნდა განახლდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, თუკი დაინერგება საერთაშორისო სტანდარტის „Moodle"-ი როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო პლატფორმა სტუდენტებისა და პერსონალისთვის.
- სასურველია, თუკი ყველა სახელმძღვანელო და არამხოლოდ ძირითადი სახელმძღვანელოები იქნება ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში, როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული ფორმით, რაც უზრუნველყოფს უკეთეს კვლევასა და გაგებას.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
4.4. მატერიალური რესურსები	☐	☑	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ამჟამინდელი ბიუჯეტი (საბაკალავრო პროგრამა - სამართალი) დამტკიცდა 2021 წლის 27 დეკემბრის, NO1-03/35 ბრძანებით, სხალთის ეპისკოპოსის სპირიდონის, წმ. ტბელ აბუსერიძის სასწავლ უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით. ბრძანების შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო პროგრამა ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. პროგრამის ბიუჯეტი ყოველწლიურად არის 84 315 ლარი. თანხა ითვალისწინებს

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის და მოწვეულ ლექტორების ანაზღაურებას, რისთვისაც გამოიყოფა 65.515 ლარი. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს 11.200 ლარს, პერსონალის წახალისების ხარჯები - 2.500 ლარი და პროფესიონალური და სამეცნიერო განვითარების ხარჯები 2.000 ლარამდე.

უნივერსიტეტის/ ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრებამ აჩვენა, რომ ბიუჯეტი იყო და იქნება სტაბილური და უსაფრთხო, რადგან იგი წარმოიქმნება პროგრამის საჭიროებების საფუძველზე. სამომავლო საჭიროებები დგება ყოველი წლის ბოლოს, შეგროვებული მტკიცებულებების შესაბამისად, რა უნდა იყოს გათვალისწინებული და რა სამომავლო მცდელობებია დაგეგმილი პროგრამის განხორციელების ფარგლებში. ასეთი ანალიზი და შესაბამისი ციფრები მიეწოდება საქართველოს საპატრიარქოს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დაფინანსებას.

შემფასებლებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის დისკუსიებმა აჩვენა, რომ პროგრამის ყველა ფინანსური საჭიროება გათვალისწინებულია და გათვალისწინებულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ. ეს მოიცავს საჭირო მოდერნიზებას, განახლებას და პროგრამის ზოგად განვითარებას.

თუმცა, უნივერსიტეტი აღნიშნავს თვითშეფასების ანგარიშში, რომ დაფინანსების გარე წყაროს მოძიება იქნებოდა სასურველი. გასაუმჯობესებელ მხარეში ნახსენებია - დაფინანსების გაზრდა. თვითშეფასებაში ნახსენებია "ფინანსური აგენტების პოვნა", დაგეგმილი და დროში გაწერილი. უნივერსიტეტის წარმოამდგენლებთან დისკუსიის დროს აღინიშნა, რომ რეგიონული მთავრობა და მუნიციპალიტეტები აფინანსებენ დამატებით აქტივობებს, რომელიც არ ითვალისწინებს სასურველ მნიშვნელოვან "დაფინანსების ზრდას". არ არსებობს დეტალები იმის შესახებ, თუ სად მოიძიებს უნივერსიტეტი დაამატებით ფინანსებს, ვის ეკონტაქტება და რისთვის უნდა ეს დაფინანსება ზუსტად. არც სტრატეგიული სამოქმედო გეგმა არსებობს, სადაც მითითებული იქნება დეტალები და პასუხისმგებლობები დამატებითი დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსება არის უნიკალური, რადგან უზრუნველყოფს სტუდენტებს უფასო სწავლით, ისინი ცხოვრობენ სტუდენტური საცხოვრებლის ტერიტორიაზე და უზრუნველყოფილნი არიან საკვებით. თანხები რაც საჭიროა აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მითითებულია ბიუჯეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საგანამანთლებლო პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაინერგოს დეტალური გეგმა, რომელშიც გაიწერება საჭიროებები, შესაძლო აქტივობები და პასუხისმგებლობები, ასევე დროის განრიგი, დაფინანსების სასურველი ზრდის და ფინანსური აგენტების მოძიების კუთხით, რათა გაძლიერდეს პროგრამის ბიუჯეტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- –

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☐	☑	☐	☐

შესაბამისობა პროგრამასთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პოგრამის თვითშეფასებაზე მუშაობა იყო თანამონაწილეობითი პროცესი. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის ფორმირება მოხდა რექტორის ბრძანებით N01-03/07, 27/12/2021. ჯგუფს ხელმძღვანელობდა პრორექტორი, პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად, მოიცავდა ხარისხის უზრუველყოფის სამსახურს, ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრატაციული სამსახურების წარმომადგენლებს - ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელს, სტუდენტური მხარდაჭერის სამსახურის ხელმძვანელს, სასწავლო პროცესის მართვის წარმომადგენელს, კანცლერს, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მოწვეულ ლექტორებს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები იყო ეფექტურად გადანაწილებული. უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობების ფორმალურ დაყოფასთან ერთად, ინტერვიუებმა აჩვენა პროგრამის განვითარებაში პერსონალის ჩართულობა და სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან პროგრამისადმი და უნივიერსიტეტისადმი მაღალი მოტივაცია და მიკუთვნებულობა. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ როგორც გარე ასევე შიდა დაინტერესებული მხარეები ჩართულია პროგრამის განვითარებაში.

თვითშეფასების ანგარიშშზე მუშაობასთან ერთად, ჯგუფი აქტიურად მუშაობდა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე, პროგრამის პირობითი აკრედიტაციის დროს. ჯგუფი მუშაობდა კარგად, მათ წარმატებით შეასრულეს რეკომენდაციები, ისინიც კი, რომელიც შეეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებას. ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმები შემუშავდა და არსებული განახლდა, თუმცა ზოგიერთი შედეგის განხორციელება არ არის ნათელი, როგორც ეს მოცემულია დეტალურად ქვემოთ.

წმიდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპი ეფუძნება "დაგეგმე, შეასრულე, შეამოწმე, იმოქმედე" ციკლს, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას სჭირდება კიდევ უფრო მეტი მუშაობა ხარისხის კულტურის დანერგვის მიზნით და იმისთვის, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შედეგები ხშირად გამოიყენებოდეს პროგრამის განვითარებისთვის. შეფასების პროცესის განხორციელება პროგრამის განვითარების მიზნით არ არის ნათელი, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, შეფასებების უმატესობის ბოლო ეტაპი არ არის დასრულებული. ინტერვიუების განმავლობაში, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ახსენეს ელ. რესურსების უზრუნველყოფა და პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, როგორც სტუდენტის მიერ მიცემული უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ მათი რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა ზოგიერთი კურსის დამატება პროგრამაში. თუმცა, ჯერ კიდევ არ არის ნათელი როგორ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ასახვა პროგრამაში, დამატებითი ინფორმაცია იქნა მოთხოვნილი, მაგრამ არ იქნა მოწოდებული. ეს გვაფიქრებინებს, რომ არ არსებობს შემთხვევა, რაც ადასტურებს შიდა ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის განვითარებისთვის, ანგარიშგების პერიოდში და დაწესებულებამ უმჯობესია გააგრძელოს შიდა ხარისხის ფუნქციის გაძლიერება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა ინტერნაციონალიზაციის დონის გაძლიერებისთვის, იგივე პრაქტიკა შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვა სფეროების მიმართაც და ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების გეგმა უნდა იქნას შემუშავებული.

დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ინსტრუმენტები არის განვითარებული, თუმცა კიდევ ერთხელ, შეფასების შედეგები, ან ინფორმაცია შეფასებაზე დაფუძნებით პროცესის გაუმჯობესების შესახებ არ იქნა მოწოდებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რექტორის ბრძანება, N01-03/07, 27/12/2021, თვითშეფასების ჯგუფი;
- სტუდენტის გამოკითხვის შედგები (პროგრამების შეფასება);
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან;
- წმიდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი სწავლის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობების შეფასების მექანიმები (დამტკიცებული რექტორის ბრძანება N01-07-09/g.) 2017.2.3;
- დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები.

რეკომენდაციები:

- უზრუნველყოფილი იყოს, რომ PDCA-ის სრული ციკლი შესრულდეს და ხარისხის შეფასების შედეგები განხორციელდეს პროგრამის განვითარების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☑	☐	☐

5.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს. გარე ხარისხის შეფასება ხორციელდება სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. როგორც უკვე აღინიშნა ანგარიშში, დაწესებულებამ და პროგრამაზე მომუშავე გუნდმა შეასრულა ექსპერტების რეკომენდაციები - პროგრამის სწავლის შედეგები მოდიფიცირდა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები შემუშავდა, სასწავლო გეგმა შემუშავდა, ასევე განისაზღვრა სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები, ინგლისური ენის კომპეტენცია გაძლიერდა, პროგრამაზე მიღების წინაპირობები

განისაზღვრა, ინდივიდუალური სასწავლო კურსები მოდიფიცირდა რეკომენდაციების საფუძველზე და ა.შ.

გარე შეფასება საერთაშორისო ან ეროვნული კოლეგების მიერ, ჯერ არ ჩატარებულა. ექსპერტა ჯგუფს სჯერა, რომ პროგრამისთვის სასარგებლო იქნება თუ ის შეფასდება კოლეგების მიერ და ურჩევს პროგრამის გუნდს, რომ განახორციელონ გარე შეფასება როგორც დაგეგმილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ
- ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ჩატარდეს გარე შეფასება ადგილობრივი და/ან საერთაშორიო კოლეგის მიერ.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.2. გარე ხარისხის უზრუნველყოფა	☑	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება გარე დაინტერესებული პირების ჩართულობით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთამ დამსაქმებლების გამოკითხვების ანალიზი და სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შედეგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე აფასებს პროგრამის სწავლის შედეგებს, როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტს. თვითშეფასების კითხვარები არის შექმნილი სხვაფასხვა წლის სტუდენტებისთვის და გამოიყენება როგორც არაპირდაპირი ინსტრუმენტი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის. გუნდმა განავითარა და დანერგა ახალი ინსტრუმენტები პროგრამის შეფასებისთვის. შიდა ხარისხის შეფასების შედეგების განხრციელება მოითხოვს გაუმჯობესებას, როგორც უკვე განხილულია კომპონენტში 5.1. თუმცა

ზოგიერთი კურსი შემუშავდა დამსაქმებლების რეკომენდაციების შესაბამისად, ხარისხის შეფასების შედეგები უნდა იქნას გამოყენებული უფრო ეფექტურად პროგრამის განვითარების უზრუნელყოფის მიზნით.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, თვითშეფასების შესაბამისად, მოიცავს კოლეგების მიერ საკლასო ოთახში დაკვირვებას. წმიდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში არ არის ნახსენები, რომელი მექანიზმი გამოიყენება სწავლისა და სწავლების შეფასებისთვის. არც პერსონალის სწავლების შეფასების მექანიზმებია განსაზღვრული (მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო უნარების შეფასება შესაძლებელია მოიცავდეს საკლასო დაკვირვებას). ასევე, მნიშვნელოვანია ნათლად განისაზღვროს საკლასო ოთახში დაკვირვების შეფასების მექანიზმი და მისი როლი და მასშტაბი პროგრამის განვითარებაში. საკლასო ოთახის დაკვირვების შედეგები ასევე არ იყო მოწოდებული და შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ჯერ ამ შედეგების ანალიზი და განხორციელება არ დაწყებულა.

როგორც აღნიშნულია, ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა სტუდენტების მიერ პროგრამის შეფასების ანალიზი. სასწავლო კურსების შეფასების შედეგები დამატებით იქნა გამოთხოვილი ექსპერტების მიერ როგორც სასწავლო კურსების შეფასების პრაქტიკის არსებობის მტკიცებულება. თუმცა მხოლოდ გამოკითხვის ფორმები იქნა მოწოდებული. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო გამოკითხვების შეფასება და ჯგუფმა დაასკვნა, რომ გამოკითხვები არ განხორციელებულა და/ან არ შეფასებულა. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა და სემესტრის ბოლოს თითოეულ კურსთან მიმართებით სტუდენტთა კმაყოფილების დონის შეფასება.

წმიდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა სამიზნე ნიშნულების გამოყენების მტკიცებულება პროგრამის განვითარების მიზნით. მოწოდებული შეხვედრების ჩანაწერების მიხედვით, პროგრამის გუნდმა გადაწყვიტა გაეზიარებინა გლასგოუს უნივერსიტეტის გამოცდილება პირველი წლის კურსები განხორციელებასა და სასწავლო პროცესში რეალური ქეისების დანერგვასთან დაკავშირებით. მიუხედავად საერთაშორისო უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარებისა, რეკომენდებულია პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მოხდეს სამიზნე ნიშნულების უფრო ღრმა ანალიზი და ანგარიშგება.

რეკომენდაციები:

- უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყოველი სემესტრის დასასრულს, სტუდენტებმა შეაფასონ თითოეული სასწავლო კურსი, რათა შემდეგ გაანალიზდეს შეფასების შედეგები და გამოიყენებოდეს სასწავლო კურსების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
- მკაფიოდ განისაზღვროს სააუდიტორიო დაკვირვების პროცედურა და ინსტრუმენტების როლები და მათი გავრცელების სფერო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში; უზრუნველყოფილი იყოს ამის განხორციელება და გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პროცესი, რათა ამან მოიცავს პროგრამის სტრუქტურა (რამდენადაც ეს შეიძლება ვრცელდებოდეს სამართლის

პროგრამაზე), სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სხვა უნივერსიტეტებში არსებული მიდგომები და უზრუნველყოფილი იყოს ანალიზი.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	☑	☐	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	☐	☑	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	☑	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	☑	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	☑	☐	☐

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
სრული სახელი, ხელმოწერა
ექსპერტთა ჯგუფის წევრები
სრული სახელი, ხელმოწერა
სრული სახელი, ხელმოწერა
სრული სახელი, ხელმოწერა
სრული სახელი, ხელმოწერა